ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

# გადაწყვეტილება №674003

ნომერი: AR1127987

თარიღი : 29.04.2013

გაცემის თარიღი : 17.05.2013

გაცნობის თარიღი : 21.05.2013

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა მარუხის გმირები , N 15 , ზემო ვაკის განაშენიანება (ნაკვეთი N25);

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი კვიწინაშვილი პ/ნ 01006005364
- თბილისი დიღმის მას. VI კვ. კორ. 1 ბ. 9

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისადა სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების, ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის №4-13 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“ და ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის05 ივნისის №6-17 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის“ თანახმად

# გადაწყვეტილება

თქვენი განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ საკადასტრო გეგმით #01.14.11.058.051 მიწის ნაკვეთზე მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კ-2 კოეფიციენტის მომატების მიზნით აღნიშნული საკითხი განიხილა ”ქ. თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიამ რომლის დადებითი დასკვნის საფუძველზე გაიცა ქ. თბილისის მერის განკარგულება და განაშენიანების ინტენსივობის კ-2 კოეფიციენტი განისაზრვრა 2.8-ით.

დამატებითი ინფორმაციის სახით გაცნობებთ, რომ კოეფიციენტის მომატება არ საჭიროებს მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანას , გამომდინარე აქედან გიგზავნით ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიის სხდომის @ოქმს #17 (01.05.2013) და ქალაქ თბილისის მერის #927 (14.05.2013) განკარგულებას, რომლის შემდგომ აღნიშნული ოქმი და განკარგულება უნდა დაურთოთ უკვე გაცემულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებს, და საკითხი დააყენოთ II და III სტადიის გასავლელად.

---

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.